8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲒᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ. ᲛᲐᲗ 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲝᲠᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲑ. ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲝᲚᲝᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲘᲚᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲡᲬᲘᲠᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ. 8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲙᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲘᲗ ᲒᲐᲮᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲮᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲠᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲡᲯᲐᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲛᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ Ე. ᲛᲐᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა სენატორმა ე. მასკიმ ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ მანჩესტერში გამოსვლისას მხარი დაუჭირა წინადადებას ვიეტნამიდან ამერიკის უკლებლივ ყველა ჯარის სრული და უპირობო გამოყვანის შესახებ.

მან გადაჭრით დაგმო მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და აღნიშნა, რომ შეიარაღებული ინტერვენცია ვიეტნამში ამერიკელ ხალხს უკვე დაუჯდა 55 ათასი ადამიანის სიცოცხლედ და 130 მილიარდ დოლარად.

„შეერთებული შტატების მთავრობამ ბოლო ენდა მოუღოს რომ არა დაბომბვის გაფართოების გზით, არამედ უკლებლივ ყველას — ქვეითის, მატროსისა და მფრინავის — გამოყვანის გზით", — თქვა მასკიმ.

„რაც უფრო მალე გაიგებს ამას მთავრობა, მით ოკეთესი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისა და ვიეტნამის ხალხისათვის", — დასძინა მასკიმ, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამელი ხალხი თვითონვე გადაწყვეტს თავის პრობლემების გარედან ნაურევლადო.

ᲡᲐᲜ-ᲙᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲡᲐᲜ-ᲙᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲨᲘ (ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘ) ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ორივე ქვეყანას შორის გაძლიერებულ უთანხმოებათა ვითარებაში და მას ახასიათებდა ამერიკის შემდგომი ზეგავლენა იაპონიაზე, რათა შეაჩუბუქოს იაპონიის ბაზარზე ამერიკული საქონლის შეღწევის პირობები.

მოლაპარაკების დროს დადასტურდა, რომ ოკინავა კვლავ დაექვემდებარება იაპონიის ადმინისტრაციულ კონტროლს, ამასთან ამ კუნძულებზე დარჩება ამერიკის სამხედრო ბაზები, და იაპონია გადიდებს სამხედრო ვალდებულებებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი აზიელი სატელიტების წინაშე.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე, რომელიც შედგენილია ზოგადი ფრაზებით.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ Ე. ᲛᲐᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა სენატორმა ე. მასკიმ ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ მანჩესტერში გამოსვლისას მხარი დაუჭირა წინადადებას ვიეტნამიდან ამერიკის უკლებლივ ყველა ჯარის სრული და უპირობო გამოყვანის შესახებ.

მან გადაჭრით დაგმო მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და აღნიშნა, რომ შეიარაღებული ინტერვენცია ვიეტნამში ამერიკელ ხალხს უკვე

ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲥᲢᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲛᲐᲚᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲪᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ 15 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲝᲕᲜᲔᲗ ᲨᲔᲚᲔᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ, ᲓᲦᲔᲓᲐ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲒᲠᲣᲞᲘᲡ.

დეკემბრის დამლევიდან კუნძულზე ინგლისის სამხედრო ბაზების მომავლის საკითხი განხილეს ნატოს საბჭოში მუდმივ წარმომადგენელთა ოთხ სხდომაზე. სხდომები მიმდინარეობდა დახურულ დარბაზში, მაგრამ პრესის ცნობებით, ამ სხდომებზე იხილავდნენ მალტაში ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზების შენარჩუნების შესაძლებლობა.

როგორც პრესა აღნიშნავს, ნატოს წევრებში წამოაყენეს მალტიდან ინგლისში ინგლისის ჯარების გადაყვანის გეგმა. მაგრამ რეიტერის სააგენტოს ცნობის თანახმად, ამ გეგმას უარყოფითად მოეკიდა იტალია ნატოს საბჭოს გუშინდელ სხდომაზე.

ამასთანავე ინგლისი განაგრძობს მალტის ეკონომიურ შანტაჟს და ცდილობს მის მთავრობას შეაცვლევინოს პოზიცია.

ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘ

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲒᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲡᲬᲘᲠᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲯᲝᲜ ᲛᲐᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲜᲐᲢᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲝᲑᲔᲜ

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲜᲐᲢᲝᲡ ᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗ

ხელოვნების დღესასწაული

მოსკოვში დამთავრდა ფესტივალი „რუსული ზამთარი“



სურათებზე: ზემოთ — მაყურებელთა თხოვნით სცენაზე გამოდიან ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი; ქვემოთ — სოფიკო იაშვილი და თენგიზ სუხიშვილი ასრულებენ სოლოს ცეკვა „სიმდი“; მარჯვნივ — ცეკვა „სიმდი“.

მერვე წელია, რაც მოსკოვში ტრადიციულად ყოველ ზამთარს ეწყობა ხელოვნების დიდი ფესტივალი — „რუსული ზამთარი“. ამჯერად ხელოვნების ეს შესანიშნავი ზეიმი განსხვავდებოდა წინამორბედებისაგან. წლევანდელი ფესტივალის ძირითადი თემა იყო საბჭოთა ბალეტი და ხალხური ქორეოგრაფია, მისი შემოქმედებითი მიღწევები.

ფესტივალს მრავალი სტუმარი მყავდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, ქალაქებიდან, საზღვარგარეთიდან.

ხელოვნების ზეიმში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის თხუთმეტივე რესპუბლიკის სამალეტო ხელოვნების წარმომადგენლები. მათ შორის აღიარებული ქორეოგრაფიული კოლექტივები „ბერიოზკა“, უკრაინის ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი, მოლდავეთის ხალხური ცეკვის დამსახურებული კოლექტივი „ეო�o“, ლატვიის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „დაინე“ და სხვები. ქართული ხალხური ქორეოგრაფია ფესტივალზე წარმოადინა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა დამსახურებულმა ანსამბლმა საბჭოთა კავშირის ხალხური არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

ქართველმა მსახიობებმა თავიანთი გამოსვლები ხელოვნების ფესტივალზე ახალი წლის დამდეგს, პირველ იანვარს დაიწყეს კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში. ორ იანვარს წარმოდგენებმა ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლა. შემდეგ კი ისინი ეწვივნენ საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს ცენტრალურ საკონცერტო დარბაზს, რომელიც სასტუმრო „როსიას“ ტერიტორიაზე მდებარეობს. ქართველ მოცეკვავეთა უველა გამოსვლას ესპანეძლების დიდი მოწონება ხვდა. ანსამბლის 25 წლისთავის იუბილესათვის მომზადებულ პროგრამას კიდევ ერთი განახლებული ქორეოგრაფიული ნომერი შეემატა. ეს არის „საკოლმეურნეო სიუიტა“, რომელსაც მთელი ანსამბლი წარმატებით ასრულებს. მოცეკვავე ვაუთა ჯგუფი, ან ცალკეული შემსრულებლები, როგორც წესი, ვირტუოზული ილეთებით გამორჩეულ ცეკვებს ხშირად იმეორებენ. ეს თითქოს, კონცერტის აუცილებელი პირობაა, ამჯერად არც ქალთა ჯგუფი დარჩა ვალში. მათ მოხდენილი მანერით, დახვეწილი მოძრაობებით მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს.

ანსამბლში ცოტანი როდი არიან ხახელმოხვეჭილი მოცეკვავეები. მათ შორის მარგალიტებივით ბრწყინავენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები იამზე დოლაბერიძე და ფრიდონ სულაბერიძე. მათი სცენაზე გამოჩენისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დარბაზი სუნთქვას იკრავსო, რათა თავისი იქ ყოფნით ხელი არ შეუშალოს ჯადოსნურ ზღაპრულ ცეკვას. მთავრდება ცეკვა. წამიერი პაუზა... და დარბაზს კვლავ ტაშის გრიალი აყრუებს...

ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალ „რუსული ზამთრის“ დასკვნითი კონცერტი ხუთ იანვარს კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში გაიმართა. მასში რჩეულმა კოლექტივებმა მიიღეს მონაწილეობა, კონცერტის ტრანსლაცია მოაწყო ცენტრალურმა ტელევიზიამ. ქართველ მოცეკვავეებს აქაც დამსახურებული წარმატება ხვდათ. მართალია, ფესტივალი დამთავრდა, მაგრამ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლს თავისი გამოსვლები მოსკოვის საკონცერტო დარბაზებში არ დაუმთავრებია. დედაქალაქის საკონცერტო დაწესებულებების მიწვევით მან კიდევ რამდენიმე კონცერტი გამართა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში და კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში.

10 იანვარს ქართველი მსახიობები თბილისში დაბრუნდებიან.

პ. მაკარიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ქ. მოსკოვი.

სხვა მაზეთებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინკუბატორი ნიანგებისათვის

აფრიკის ზოგიერთი ტომი ახლაც დარწმუნებულია რომ ნიანგი — ეს არის მავნე სული, რომლის დასაწყნარებლად აუცილებელია მსხვერპლის შეწირვა.

მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც იკისრა „მავნე სულების“ დაცვა. ეს არის 30 წლის რენჯერ პელეი სამხრეთ აფრიკის ნატალის პროვინციიდან. აი, რა თქვა მან:

„ბრაკონიერები ათასობით ნიანგს კლავენ მათი ძვირფასი ტყავის გამო. ამიტომ მე შევქმენი ნიანგების ფერმა. ჩვენ ვაგროვებთ ნიანგის კვერცხებს. შემდეგ კი ვინახავთ ინკუბატორში, როდესაც კვერცხებიდან გამოჩეკილი ნიანგები სამი წლისა გახდებიან, თავისუფლად ვუშვებთ.

დამნაშავენი არიან ჰოლიგიელები

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ქალაქში საგადასახადო სამმართველოს შესასვლელთან გაჩერდა პოლიციის მანქანა, რომელზეც დადგმული იყო სარადარო მოწყობილობა. რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა წავიდა. ამ თითქოს უმნიშვნელო შემთხვევის შემდეგ საგადასახადო სამმართველოს მუშაკებმა თავში ხელი იტაცეს. სამმე იმაში იყო, რომ მონაცემები გადამხდელებზე, რომლებიც ჩაწერილი იყო ელექტრომაგნიტურ ლენტებზე, წაშლილი აღმოჩნდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს გამოიწვია რადარისაგან გამოსხივებულმა ტალღებმა: მაგნიტური ლენტების საცავი ცუდად იყო დამიწებული.

(„ტრუდი“).



ტ. პეტროსიანი: ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებ!

მოსკოვს რომ მივემგზავრებოდი, „კომუნისტის“ რედაქციის ერთობ რთული დავალება მივიღე — შეგხვედროდი ნვეს თანამქალაქელს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ტიგრან პეტროსიანს და გავსაუბრებოდი მას ჭადრაკის მოყვარულთათვის ამოკამად ფრიად საინტერესო ზოგიერთ საკითხზე. ეს დავალება რთულად იმიტომ მიმანნდა, რომ გოსსპორტის იმ დღეებში ალიოხინის მემორიალში მონაწილეობდა და მისი სასაუბროდ „ხელში ჩაგდება“ არც თუ იოლი იყო.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მოსკოვში არ აღმოჩნდა, შეჯიბრების დღეებში იგი თურმე მეტწილად თავის აგარაკზე ქალაქგარეთ ცხოვრობდა. ტელეფონით დავუკავშირდი და შევთანხმდითო, რომ ერთმანეთს რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში შევხვდებოდით ალიოხინის მემორიალის მორიგი ტურის დღეს. ასეც მოხდა. როცა მისი მოწინააღმდეგე ერთ-ერთ მორიგ სვლაზე ფიქრობდა, ჩვენ ერთმანეთს შეჯიბრების მონაწილეთა ოთახში შევხვდით.

— გავიდე, — ამ დღეებში თქვენი სახელოვანი გაზეთის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აღინიშნება, — მითხრა ტ. პეტროსიანმა.

— მეც ვუერთდები მის კეთილმოსურნეთა რიგებს და ჩემი მოკრძალებული სალამი მინდა გადავცე გაზეთ „კომუნისტს“.

მე სიამოვნებით გავუწოდე ბლოკნოტი, რომელშიც მან შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „სულითა და გულით მივესალმები და ვუოცავ სახელოვან იუბილეს საბჭოთა საქართველოს უძველესი გაზეთის „კომუნისტის“ მკითხველებს, კორესპონდენტებსა და თანამშრომლებს, იმ გაზეთისას, რომელმაც ფეხი აიდგა ჩემს მშობლიურ ქალაქ თბილისში და მზნედ მიაბიჯებს წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ“. მისალმებას მან ხელი ქართულ ენაზე მოაწერა.

ამ დღეს გოსსპორტის მეტი დრო აღარ ჰქონდა. ორი დღის შემდეგ კი, როცა ალიოხინის მემორიალი დამთავრდა, ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ამჯერად ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში (ბოგოლის ბულვარზე), სადაც მან მიპასუხა ყველა ჩემს კითხვაზე.

— რით შეგიძლიათ ახსნათ თქვენი წარუმატებლობა ფიშერთან მატჩის მეორე ნახევარში?

— ძნელია, გარკვეულად რაიმეს თქმა მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია დეპრესია ჩემ მიერ მატჩის მეექვსე პარტიის წაგების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ახლა მწვავედ განვიცდი, რომ დავთანხმდი ფიშერთან თამაშს ბუენოს-აირესში.

— რას იტყვით სპასკი-ფიშერის მატჩის პერსპექტივებზე?

— ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონის საჭადრაკო პოტენციალი, ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია გაეუტოლოთ ფიშერის შესაძლებლობებს. მაგრამ მაშინ, როცა ფიშერი თამაშობს თავის ფიზიკურ და შემოქმედებით შესაძლებლობათა უკიდურესი დაძაბვით, სპასკის დღევანდელი სპორტული ფორმა გვაფიქრებინებს, რომ მას შეუძლია ითამაშოს და კიდევაც უნდა ითამაშოს უფრო ძლიერად. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ფიშერი დიდი ალმაცერობის გზაზეა, რაც ყოველთვის თან ახლავს მოჭადრაკეს, როცა ის უმაღლესი საფეხურის მიღწევისათვის იბრძვის. სპასკის მხრივ ბ ალ ზ ე პასუხსაგები მოვალეობა — შეუნარჩუნოს ჩვენს ქვეყანას საჭადრაკო გვირგვინი, რომელსაც დასავლეთელი მოჭადრაკე იჩემებს. პროტენდენტთა შეჯიბრების წინ მსოფლიოს ჩემპიონმა გამოთქვა აზრი, რომ სწორედ ფიშერთან შეხვედრა იქნება მისთვის კარგი გამაღიზიანებელი, როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით.

— ალიოხინის მემორიალის პირველ ნახევარში მთელი რიგი წარმატებების შემდეგ თქვენ რატომღაც დამშვიდდით და ყაიმებს სჯერდებოდით. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კორჩნოისა და სპასკის დამარცხებით თქვენ შესრულებულად ჩათვალეთ ამ ტურნირზე დასახული ამოცანა?

—ნუ დაგავიწყდებათ, რომ 1971 წლის ზაფხულში მე გავიარე მსოფლიო ჩემპიონატის მთელი მომქანცველი ციკლი. ან რაოდენ დიდი ნერვული დაძაბულობა მოითხოვა ფიშერთან მატჩის უიღბლო მსვლელობამ! ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ ტურნირის მეორე ნახევარში მთელი ძალითა ველარ ვითამაშე. ის კი გაუგებარია, რატომ ისწრაფოდნენ ხშირად ყაიმებისაკენ ტურნირის სხვა მონაწილენიც.

— თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენს მომავალ საჭადრაკო და სამეცნიერო გეგმებზე.

— მე ჯერჯერობით არ ვამბობ საჭადრაკო ფარ-ხმალის დაყრას. მაქვს გეგმები სამეცნიერო სარბიელზეც, მაგრამ, ვფიქრობ, მათ შესახებ შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როცა რაიმე კონკრეტულს გავაკეთებ ამ მხრივ.

— თქვენ უდავოდ გაქვთ ლიტერატურული ნიჭი. რატომ არ წერთ საჭადრაკო წიგნებს?

— 1972 წელს უშუალოდ შეეუდგები მუშაობას ჩემს წიგნზე ამის შესახებ, თუ როგორ გავხდი მოჭადრაკე.

— სასურველია ვიცოდეთ თქვენი აზრი კუშნირ-ალეხინდრიას დამთავრებულ მატჩზე. როგორ აფასებთ ალ კუშნირის შანსებს მის მომავალ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან?

— ნანას რაღაც არ გამოუდიოდა თამაში ჯერ კიდევ ლუხარეგვიჩთან მატჩში. რაც შეეხება ფინალურ მატჩს, დარწმუნებული ვარ, რომ სავსებით არასწორი იყო პოზიციური სტილის ისეთ გამოცდილ მოჭადრაკესთან, როგორიც ალ კუშნირია, თეორიული თამაში ნაკლებად შემოწმებული სტრატეგიული სქემებით, რომლებშიც ნანა, სამოლო ანგარიშით, მეტოქეზე ცუდად ერკვეოდა.

მე მუდამ ნონა გაფრინდაშვილს გულშემატკივარი ვიქავი, მჯერდა მისი. მჯერა მისი კუშნირთან შესამეჯერ შეხვედრის წინაც.

— რას უსურვებდით თქვენს მრავალრიცხოვან თბილისელ გულშემატკივრებს?

— მხურვალე სალამი ყველას, ვინც ჩემი გულშემატკივარია და ვისაც კვლავ თავისიანად შევჩნევარ.

* * *

საუბარი გაგვიგრძელდა. ტ. პეტროსიანმა სიამოვნებით გაიხსენა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო წრე, სადაც იგი პირველად ეზიარა ამ უძველეს და ბრძნულ თამაშს, თავისი პირველი მასწავლებელი აწ განსვენებული ოსტატი არჩილ ებრალიძე, ბევრი სხვა ქართველი მოჭადრაკე და სპორტული მოღვაწე, რომლებმაც ამაგი დასდეს მის დაოსტატებას.

— კარგა ხანია არ ვყოფილვარ ჩემს მშობლიურ ქალაქში, — მითხრა გულისტკივილით. — ძალიან კი მენატრება. 1972 წელს აუცილებლად ჩამოვალ.

ლ. ასტვაცატუროვი.
ქ. მოსკოვი

ქართველთა ქონასტერი ბულგარეთში

Грузинский монастырь в Болгарии

სიმართლის ნერგი იხარებს...

ა. შანიძის „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონის“ გამოცემის გამო.

ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურის ბევრი ფაქტი ჯერ კიდევ ელის თავის მომავალ მკვლევარს. ჩვენი ერის უტყვი მოწმენი — როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ ამენებული ეკლესიები და მონასტრები უმდიდრეს მასალას იღებენ ქართული კულტურის თვითმყოფობის შესახებ: ძველი ქართული მწერლობის კერები — თბილისსა თუ იყალთოში, გრემსა თუ ოპიზაში, იშხანსა თუ ხახულში, ზარზმასა თუ ვარძიაში... უძველესს განის წარმოადგენენ ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების შესასწავლად, იმდროინდელი სასულიეროსაეკლესიო მწერლობის გასაცნობად. ქართველები მონასტრებს, როგორც სწავლა-განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრებს საზღვარგარეთაც აგებდნენ: მაგალითად, პეტრიწონის მონასტერი (ბულგარეთში), ივერიის მონასტერი ათონის მთაზე (საბერძნეთში), სვიმონ საკვირველმოქმედის სპეანე შავ მთაზე (ანტიოქიაში), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში). ქართველი მკითხველი ყოველთვის უდიდეს ინტერესს იჩენდა ისეთი შრომებისადმი, რომლებშიც გაშუქებულია ჩვენი წარსული სულიერი კულტურის საკითხები. ამიტომ არის, რომ ასე გულთბილად მიიღეს ცნობილი ენათმეცნიერის აკადემიკოს აკაკი შანიძის ახლახან გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია“), რომელიც „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიით ახლახან დაბეჭდა გამომცემლობა „მეცნიერებამ“. ეს არის 386-გვერდიანი მონუმენტური წიგნი, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი მოახმარა ჩვენი დროის ამ უდიდესმა მკვლევარმა. მოკლე შესავლის შემდეგ, რომელშიც მოთხრობილია სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ ბულგარეთში, გაშუქებულია ქართულ მონასტრებში არსებული ტიპიკონები (ე. ი. წესდებები). ავტორი სპეციალურად მსჯელობს ბულგარეთში ქართველთა მონასტრისა და მისი ტიპიკონის შესახებ, არკვევს ტერმინთა (ტანუტერი თუ ოსტიგანი) ზუსტ ლექსიკურ მნიშვნელობას, იძლევა პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის მეცნიერულად დადგენილ ტექსტს და ანალიზს უკეთებს ამ ტიპიკონის ქართული რედაქციის ენას (ორთოგრაფიულ-გრამატიკული მიმოხილვა. ლექსიკონი). აქვე მოცემულია ამ შრომის რუსული თარგმანი (გვ. 243-368).

როგორც ცნობილია, პეტრიწონის სავანე ბულგარეთში აშენებულია სოფელ ბაჩკოვოში. ეს მონასტერი დადი თანამდებობა, მსახურობდა: ყარსში, იბერიაში, სირიაში, სომხეთში. პეტრიწონის მონასტერში გრიგოლმა 50 განათლებული ქართველი ბერი დაამკვიდრა; სავანესთან დააარსა სემინარია, მონასტერს შესწირა საკუთარი და-ძმის უძრავ-მოძრავი ქონება, გადასცა საშეფო სიგელი, აკრძალა ბერძენთა მიღება სავანეში და ა. შ.

მე-12 საუკუნის განმაჩენილი მწერალი ქალი, ალექსი კომნინოსის ასული ანა კომნინი თავის ნაშრომში „ალექსიადა“ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გრიგოლ ბაკურიანის-ძის შესახებ, მაგრამ მას შეედომით სომხად მიჩნევს; 1904 წელს, როცა ფრანგმა მკვლევარმა ლ. პეტიტმა დაბეჭდა და გამოაქვეყნა ტიპიკონის ბერძნული ტექსტი, პირდაპირ მიუთითა, რომ რასაც ანა კომნინი ამბობს გრიგოლის შესახებ. ყველაფერი მართალია, გარდა იმისა, თითქოს იგი სომეხი იყოს წარმოშობითო. ანა კომნინის მოსაზრება გრიგოლის არაქართველობის შესახებ სხვაგვარი ვარიანტით გიამლორა ნ. მარმა 1905 წელს. როგორც ა. შანიძე მიუთითებს, ნ. მარმა თავის ერთ-ერთ ნაშრომში ის აზრი გაატარა დაეინებით, რომ გრიგოლ ბაკურიანი სომეხი იყო, მაგრამ მართლაც-ლიდებელი ქალჯედონისტი (ქალკედონიანი). ა. შანიძე აქვე შენიშნავს, რომ ნ. მარმა იმას კი არ მიაქცია ყურადღება, რომ სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაელი (ანუ მათეოს ედესელი), გრიგოლ ბაკურიანის-ძის ემცროსი თანამედროვე, გრიგოლის შესახებ ამბობს, რომ იგია „ვრაციი აზგავ“, ე. ი. ტომით ქართველი. ნ. მარი უსაყვედურებდა ლუი პეტიტსაც, რატომ აცსადებს გრიგოლ ბაკურიანის-ძეს ქართველადო. რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოჩნდა ტიპიკონის ქართული ტექსტი, რამაც ყველაფერს უფუძნებია საბერძნეთის დასავლეთის დიდ დომესტიკოსს (მთავარსარდალს, ამირსპასალარს) სევასტოს გრიგოლს, ტაოელ ერისთავთ ერისთავის ბაკურიანის შვილს, რომელიც მე-11 საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იყო და რომელიც, ა. შანიძის აზრით, ბაგრატიონთა შთამომავალი გახლდათ. ამ დროისათვის ტაოს დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა და საბერძნეთის მბრძანებლობაში იმყოფებოდა.

ბიზანტიის კეისარმა გრიგოლს აჩუქა სოფელი პეტრიწონი, სადაც 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის-ძემ და მისმა ძმამ აბაზმა აშენეს პეტრიწონის სავანე, რომელსაც მაშინვე დაუწერა მისმა დამაარსებელმა ტიპიკონი (წესდება) ორ ენაზე — ქართულად და ბერძნულად და რომელსაც იმავე წელს ხელი მოაწერა გრიგოლმა.

გრიგოლი დიდად განათლებული პირი იყო: უყვარდა ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, ეჭირა დიდი ბიბლიოთეკა (ბერძენ-ბარის მოსაზრება უკვალოდ როდი დაიკარგა. მას, სამწუხაროდ, ჩვენს დროშიც გაუჩნდნენ მიმდევრები; მაგალითად ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა პაროარ მურადიანმა ამ საკითხს უძღვნა სპეციალური წერილი, რომელიც 1968 წელს ერევანში სომხურ ენაზე დაიბეჭდა. ავტორი იმეორებს ნ. მარის მცდარ დებულებას და მიუთითებს, რომ გრიგოლ ბაკურიანი სომეხი ქალკედონისტი იყო ქართული აღსარებისა.

ა. მურადიანის დებულებას ა. შანიძე დეტალურად განიხილავს და ზუსტი მეცნიერული არგუმენტაციით სამართლიანად უარყოფს მას.

ა. შანიძე ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე „განსაკუთრებით გამოჰყოფს მონასტრის თანამდებობის პირის ერთ სახელს, რომელსაც ქართულ ტექსტში ჰქვია „ტუტენი“, ბერძნულში კი — „ტანუტერი“. ზუსტი ლინგვისტიკური ანალიზით ა. შანიძე ადგენს ამ სიტყვათა სემანტიკას და ნათელყოფს იმას, თუ რა პირობებში მოსდა ტიპიკონის ქართულ ტექსტში ოსტიგანი (ოსტიმანი) ერქვა სურსათ-სანოვაგის საქმის გამგეს, ბერძნული ტექსტის თანედროინდ ამ თანამდებობის პირს ეწოდება ტანუტერი). მაშასადამე, გადმოუცემიათ ტიპიკონის ბერძნული ტექსტი, რომელშიც ჩაუმატებიათ სომხური სიტყვა „ტანუტერი“ (ეს სიტყვა მე-11 საუკუნეში საქართველოში იხმარებოდა. მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც ტიპიკონში საჭირო). ა. შანიძემ დოკუმენტბრივ დაამტკიცა, რომ გრიგოლ ბაკურიანის-ძე ქართველია წარმოშობით და ამას მის მიერ შედგენილი ტიპიკონის დასაწყისშიც გარკვევით მიუთითებს: „...წარმოშობით ვარ აღმოსავლეთის მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან“ (იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 33), ყოველივე ამას თუ დავუმატებთ პროფ. ა. ურუშაძის მიერ სოფიის ნაციონალური ბიბლიოთეკაში მიკვლეულ ორ იშვიათ ბერძნულ წიგნს, სადაც დაბეჭდითებით არის ნათქვამი გრიგოლ ბაკურიანის-ძის ქართველობის შესახებ, ჩვენთვის სურათი ცხადი იქნება — პეტრიწონის სავანის დამფუძნებელი ქართველია და არა სხვა ერის წარმომადგენელი.

მაგრამ სარეცენზიო წიგნის მნიშვნელობა აშით როდი ამოწურება. მასში დაბეჭდილია ტიპიკონის ქართული რედაქციის ტექსტი, გამოცემული უსაფუძ, იშვიათი გულმოდგინეობით, პასუხისმგებლობითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით. ამ ტიპიკონის სახით ქართული ენის უძველესს ძეგლთა ოქროს ფონდს შეემატა კიდევ ერთი შესანიშნავი ნაშრომი — ძველი ქართული ენის ძეგლფასი დოკუმენტი.

წიგნში ანალიზი აქვს გაკეთებული ტიპიკონის ქართული რედაქციის ორთოგრაფიულ-გრამატიკულ და სტილისტიკურ მხარეს და ნაჩვენებია მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის.

სარეცენზიო წიგნს ახლავს ტიპიკონის ქართული რედაქციის ვრცელი ლექსიკონი (გვ. 147-239), რომელშიც განმარტებულია თანამედროვე მკითხველისათვის ბევრი უცნობი სიტყვა, ზოგის ეტიმოლოგიაც არის მოცემული. სიტყვათა განმარტება უზადოა, პირდაპირ ვიტყვით, შანიძისეული. არაფერს ვამბობთ ნაშრომის რუსული გამყოფილების შესახებ. მის უდიდეს მნიშვნელობას რაღა თქმა უნდა; ამაზე ნათლად ღაღადებს შარმან რუსულად გამოცემული ა. შანიძის ნაშრომზე („დასავლეთის დიდი დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის-ძე და მისი დაარსებული ქართული მონასტერი ბულგარეთში“) ის გამოხმაურებები და რეცენზიები, რომლებიც მის შესახებ დაიბეჭდა.

ამგვარად, ა. შანიძის ახალმა ნაშრომმა, რომელშიც დამარწმუნებელი ფაქტებია წარმოდგენილი, ეჭვშეუტანლად დაადგინა პეტრიწონის მონასტრის დამფუძნებლის ვინაობა, მისი ქართველობა, ამხილა ყალბისმქმნელები, პირველწყაროების დეტალური ანალიზის შედეგად გვიჩვენა ტიპიკონის ქართული რედაქციის უდიდესი მნიშვნელობა; მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს ხალხთა მეგობრობის, განსაკუთრებით კი ქართველი, სომეხი და ბულგარელი ხალხების მეგობრობის იდეა.

ბულგარელებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მათ დღემდე შეეგროვებინეს პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანე, აგრეთვე „ქართველთა ღვთისმშობლის ხატი“ და მონასტრის ტიპიკონი. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში ბულგარეთში ფაშისტების ბატონობისას რეაოლუციურ ჰიმნად ბულგარელ კომუნისტებს აკაკი წერეთლის „სულიკო“ ჰქონიათ.

ა. შანიძის ნაშრომი „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში“ მსოფლიო ფილოლოგიური მეცნიერების შენაძენია. ჩვენი სურვილია, რომ ეს წიგნი ითარგმნოს ბულგარულ და სომხურ ენებზე.

მართალი უთქვამს ბრძენ ქართველ ხალხს: „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“.

რ. შამელაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ДЕБЮТИНУРДНЕНЕ САБЧОТОТА ГРОСМАЙСТЕРЕБИ

ПАЛТИНГЗЗЗ ფინეთში უახლოვდება საახალწლო საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ვაუთათვის. გათამაშდა ცხრა ტური. მეცხრე ტურში ლენინგრადელმა ახალგაზრდა გროსმაისტერმა ა. კარპოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ცხობილ იუგოსლავ მოჭადრაკესთან ს. გლიგორიჩთან და 7,5 ქულით კვლავ ლიდერობა. გროსმაისტერ ვ. კორჩნოის (ლენინგრადი), დაუმთავრებელი დაჩრა პარტია ინგლისელ რ. კინთან. წინა გადადებულ პარტიაში ბრაზილიელ გროსმაისტერ ე. მეკინგთან ვ. კორჩნოი ყაიმს დასჯერდა და ახლა 5,5 ქულა და 1-გადადებული პარტია აქვს. ამდენივე ქულა აქვთ ვ. უნციკერსს (გფრ) და უ. ანდერსონს (შვეიცარია).

რამდენიმე სტრიქონით

● ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ აიღეს სტარტი საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშების ნახევარფინალურ ტურნირებში. ეს პრიზი დაწესებულია ევროპის ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გუნდებისათვის. ჰოლანდიის ქალაქ ხერონენში მოსკოვის ლოკომოტიველებმა დაამარცხეს პრაღის „ტატრანი“ 3:2, ხოლო მოსკოვის დინამოელებმა ლოძში მოუგეს რუმინეთის „პენიცილინს“ 3:0.

● ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ მაღალმთიან საცგურაოზე გაიმართა ჩეხოსლოვენთ მოცეკურავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. აქ წარმატებით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი. ა. ხენინგი, რომელმაც 500 მეტრზე რბოლაში აჩვენა დრო 42,5 წამი და ქალთა შორის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ᲖᲐᲗᲣᲛᲘᲡ პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ტბაზე ნაწყენარემ დაისადგურა. აღარ ისმის პატარა მეზღვაურების შეძახილები, ნავით სეირნობის მოყვარულთა ყიჟინა. ხანდახან გამვლელები თუ მიაჩერდენ ყურადღებას რეიდზე მდგარ ხომალდ „პიონერს“ და ნავებს.

ფოტო პ. ჩანტლაძისა.

ა. მეტრეველი — ფინალი

ᲡᲘᲓᲔᲜᲘ. სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისელი ა. მეტრეველი კვლავ წარმატებით გამოდის „მწვანე კონტინენტის“ კორტებზე. იგი გავიდა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ლია ჩემპიონატის ნახევარფინალში. მეოთხედფინალში მეტრეველმა მოუგო ავსტრალიელ რ. კელსს — 2:6, 6:3, 6:3, 6:2. რვა უძლიერეს ჩოგბურთელს რიცხვში მოხვდა სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოველი, ო. მოროზოვა, რომელიც გამოეთიშა ახპარეზობას ამ ეტაპზე, როცა მეოთხედფინალური შეხვედრა წაგო ავსტრალიელ ბ. მოუკრაფტთან — 2:6, 3:6.

მოგვიანებით ა. მეტრეველმა უფლება მოიპოვა გამოსულიყო აგრეთვე ვაუთა ერთეულების ფინალში. მან პრინციპული შეხვედრა მოუგო ყოფილ პროფესიონალ ჩოგბურთელს 36 წლის მელ ანდერსონს (ავსტრალია), რომელმაც თბილისელს გზა გადაუღობა ფინალში ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მელბურნში ამ ოთხბრძოლის ანგარიშია 6:3, 7:5, 1:6, 6:3. მეტრეველის მეტოქე ფინალში იქნება ფრანგი ბ. დომინგესი.

დაყრას არ ვაპირებ!



სპორტი

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲘ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04415

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ, ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲚᲚᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ Ა. Წ. 13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲝᲓᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ (ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠ. № 6.).

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲝᲛᲔᲑᲐ 13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡ�წᲐ